სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა
ხელ-მომწერნი გაზეთის დახაკვე-
ბ მიმართავენ რედაქციას დილის
-3 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
დ.-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
ირ-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

სახალხო სეირნობა
საქვეყნ-მოქმედო გაზრითურთ
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგა
დოების" სასარგებლოდ
დანიშნულია 16-ს და 17-ს მაისს, კვირას და ორშაბათს,
მუშტაიდში. (10—8)

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
იზემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიებით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მი-
იღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია
საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევ-
ში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფი-
ლისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—22)

სამკურნალო და ამბულატორია
ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავად
მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
ნი შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
მუდამდღე სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ა. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. ძოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა.
მარზამსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმიო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ-

## ახალი ამბავი

*** ბორჯომში გამგზავრება გი-
ცე გუბერნატორისა. ტფილისის
გუბერნატორის თანაშემწე ბ-ნი
სტეფანოვიჩი გამგზავრებულა გუ-
შინ წინ ბორჯომში.

*** დავით კეზელს თავის საქმე
როგორც ამბობენ სენატში გადა-
აქვს.

*** პუშკინის დღესასწაულის გა-
მო. ქართველი საზოგადოება მო-
ნაწილეობას ღებულობს პუშკინის
დღესასწაულში, ამ დღეებში ქარ
თველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელ საზოგადოების
გამგეობა და ქართული დრამა-
ტიული საზოგადოება თავიანთ
წარმომადგენელს გაგზავნიან სა-
დღესასწაულო კომისიაში.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის
გაფუჭება. ამას წინად ჩვენ მოხსე-
ნებული გვქონდა, რომ ამიერ-კავ-
კასიის რკინის გზაზე დიდი ჩიაღ-
ვრების გამო გზები გაფუჭდა და
მოძრაობა მატარებლებისა შეჩე-
რებულიაო. ეხლა, როგორც
იუწყებიან, მოლითსა და მარელის
შორის გზები ძრიელ გაფუჭებულა,
მაგრამ დღეიდან გზები შესწორ-
დება და მატარებლები ჩვეულებ-
რივ მოძრაობას დაიწყებენ.

ახალი მოსამართლე. პატივცე-
მულ ნიკოლოზ დავითისძე ზუბა-
ლაშვილის მაგიერ, რომელმაც სა-
მსახურს თავი დაანება, მეოთხე სა-
მოსამართლო ნაწილის მოსამართ-
ლედ ნიშნავენ ტფილისის სამოსა-
მართლო პალატის მდივანს ბ. ა. ნ.
მიტკევიჩს.

*** ვაჟი თუ ქალი? „ტფილისის
ფურცელი" იუწყება მეტად სამ-
წუხარო ამბავს. ვიღაცას დ—ს
ნავთლუღში აგერ ხუთიოდე წე-
ლიწადია ცოლი შეურთავს და
ამ ხნის განმავლობაში ჰყოლია სა-
მი ქალი: ეხლახან ორსული ცო-
ლი განთავისუფლებულა და ისევ
ქალი მისცემია. ქმარი დ—ე ისე
განრისხებულა, რომ ხანჯალი აუ-
ღია და თურმე მოკვლა მოუწა-

დინებია ცოლისა და შვილისა.
კიდევ კარგი, რომ მეზობლები
შემოჰრილან და გახელებული კა-
ცისათვის ხანჯალი წაურთმევიათ
და იგი პოლიციაში გაუგზავნიათ.

*** პურისა და ხორცის ნიხრის
შეცვლა. ქალაქის მცხოვრებმა კარ-
გად უწყიან თუ რა მძვირია ამ ჟა-
მად პური და ხორცი, ამ გარემოე-
ბისათვის გამგეობას მიუქცევია რა
ყურადღება, განუზრახავს ამ ცოტა
ხანში შესცვალოს ხსენებული ნიხ-
რი პურსა და ხორცზე.

*** იოანე ზედაძნელის მონასტ-
რის დღეობა. ჩვენ მოხსენებული
გვქონდა ძედაძნელის მონასტრის
შესახებ ცნობა „ცნ. ფ." № 810-
ში, რომ ამ მონასტრის დღეობა
ყოველ წლობით არის. წელს
ძალიან ცუდი ამინდის და წვიმე-
ბის გამო არ ბრძანებულა ყოვ-
ლად სამღვდელო ლეონიდი მო-
ნასტერში და მათის ბრძანებით
მწირველად იყო დარიის მონასტ-
რის მღვდელ-მონაზონი გერასიმე
წელს ის შესანიშნავი წყარო, რო-
მელიც გვქონდა მოხსენებული,
უფრო ნაკლებად იყო. მღვდელ
მონაზონმა გერასიმემ წირვის გა-
თავების შემდეგ გრძნობიერის სიტ-
ყვით მიმართა მლოცავებს და აუხს-
ნა, თუ როგორ უნდა ახსოვდეს
ქართველს მათი მასწავლებელი
იოანე ზედაძნელი. წელს მლოცა-
ვები ძალიან ნაკლებ იყვნენ დღე-
ობაში შედარებით წინა წლებთან.
ამის მიზეზი ის იყო, რომ ხანგრძ-
ლივმა წვიმებმა არ მისცა მლო-
ცავებს დრო მოსვლისა. 7 მაისს
გადაიღო წვიმები, მაგრამ დიდი
ტალახების გამო მაინც ვერავინ
მოსულა მონასტერში.

წესიერების მსურველი

*** ს. კაცხი. (ზემო იმერეთი)
ექამბაშება და მკვთხავება. სოფე-
ლი კაცხი განიმყოფება ორ ნაწი-
ლათ, გაღმა კაცხი და მეორე გა-
მოღმა კაცხი, ამათ ეკკლესიებიც
ცალკე აქვთ, სოფლის სასამართ-
ლო კი ერთი. ამ სოფლის ხალხი
ბევრი ნაწილი მდიდარია და უფ-
რო ბევრი ღარიბია, კაცხის ეკკ-
ლესიას უწოდებენ მაცხოვრის
ეკკლესიას, გამუდმებული არის

მწირველათ ერთი ბერი და მღვდელი, ეს ბერი რომელიც მაცხოვრის ეკკლესიაზედ იყო ხოლმე მწირველათ, დიდ საშუალებას აძლევდა აქაურ დაშორებულ საწყალ ხალხს. ამ ბერს ჰქონდა ბლაღოჩინ ლამბაშიძის მიერ გამოცემული კარაბადინი და ამით საშუალობდა საწყალ ხალხში; მიდიოდა ქუთაისში და გამოქონდა აფთიაკიდან წამლები, აძლევდა საწყალს ხალხს უსასყიდლოდ და თვითონ ეუბნებოდა ხალხს თქვენ ნუ მიაქცევთ ყურადღებას ამ მატყუარა მკითხავებსა და ექიმბაშებს და ჩემიდგან უსასყიდლოთ ისარგებლეთ წამლითაო. ასე გაავრცელა ეს წამლობა, რამოდენიმე ხანს ბევრი საწყალი ხალხი მიიზიდა, რის გამო ბევრ ექიმებს აალებინა ხელი თვალთმაქცობაზე, მაგრამ საუბედუროთ იმან ითხოვა სხვა მონასტერში გადაყვანა და რამოდენიმე ხნის შემდეგ გადაყვანილი იქმნა სხვა მონასტერში, ახლა აისხეს ისევ ფრთები ჩვენებურმა ექიმბაშებმა და მკითხვებმა და ისევ გააბეს ქსელი ხალხში.

იპოლიტე გაჩეჩილაძე.

*** **ს. ძოწადი.** (შუა ქართლი) მეზობლების ერთი-ერთმანეთზე გარდაკიდება მკითხავების წყალობით. არა და არ იქნა ვერას გზით ბოლო ვერ მოეღო ამ ცრუმორწმუნოებას ჩვენს საქართველოში და გარდაგვექცა ერთ უმთავრეს სნეულებად, თუმცა კი ძრიელ ხშირად ბევრ რამეს სწერენ ხოლმე ამის შესახებ... ერთ გლეხის ცოლს, თურმე ქათამი კვერცხს არ უდებდა, მოჰპარა ქმარს ერთი აბაზი ფული, ერთი ჩარექა ღვინო და გაექანა მკითხავთან; შენი ჭირიმე, უნდა მიშველო რამეო, ოთხი დედალი მყავს, სამი კვერცხს მიდებს და ჭრელი დედალი, რომელიც ყველაზე კარგია ის კი არა, მიზეზი უნდა გამიგოო. მკითხავმა, დაინახა თუ არა ჭრელი აბაზი და ჩარექით ღვინო ძრიელ ესიამოვნა, აანთო სამთლები ჩაასხა სტაქანში წყალი და გაიხედა... ოი, გენაცვალე მოჯადოებული ყოფილხარ მარცხენა მხარეს, რომ მეზობელი გიდგიაო. ის იყო და ისა, ეს ორი მეზობელი გარდაეკიდნენ ერთმანეთს და ვინ მოსთვლის რამდენი ამ გვარი მაგალითებია... ამავე სოფელში, ერთ კაცს რამდენი შვილიც კი მიეცემოდა ეხოცებოდა. ამანაც, რასაკვირველია მიჰმართა ამისთანავე მეჭორავე მკითხავს, მკითხავმაც ვინ, იცის ვისი მიზეზი არ გამოაგვარა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ მხოლოდ ერთი ხარით გადაანარჩუნა... უთხრა წადი შინ და რომელიც საუკეთესო ხარი გყავს დაკალი და იმისი ხორცი სოფელში დაარიგე და შვილები დაგრჩებაო. ის უბედური კაცი დაბრუნდა თუ არა შინ, მაშინვე, რომელიც კი საუკეთესო ხარი იყო, გამოუშვა გუთნიდგან დაკლა და დაარიგა...

როდის იქნება ეს საწყალი გამოჩერჩეტებული ხალხი გაიგებდეს რასმეს და აღარ ირწმუნოს ამ ცრუ-პენტელა დედა-კაცების წინასწარმეტყველება; თორემ ერთი სიტყვით დაიღუპა ქვეყანა, ვის ხარებს აკვლევინებენ, ვის ძროხებს და ვის კიდევ რას—ისედაც დაღუპულ და დაქვეითებულ საწყალ ხალხს, დროა კი, რომ თვალი მუყაითად ადევნოს ამ სოფელში მაწანწალა მკითხავებს, ვისიც ჯერ არს.

ს. გედევანიშვილი

## სახალხო ჰიგიენა

საუბარი ჯანმრთელობის შესახებ*).

(რუსულიდან)

წყლის შესახებ.

**II ზღვის წყალი.** ზღვის წყალი სასმელათ არ ვარგა, იმიტომ რომ იმაში ბევრი მარილია, გემოთი ზღვის წყალი მარილიანია (горько-соленая) და იმისგან კაცს მოსდის გულის რევა გემზე, როდესაც დიდი ხანი დარჩება ხოლმე ქარიშხლის გამო, და წყლის ნამზადისი გამეელევათ, სვამენ ზღვის წყალს მხოლოდ სხვა ნაირათ გასუფთავებულს (перегонка). ზღვის წყალს ჩაასხმენ დიდ ქვაბში, რომელსაც თავზე აქვს გაკეთებული დაგრეხილი ტრუბა, როცა წყალი ადუღდება ორთქლი ადის მაღლა ტრუბაში, ამ ტრუბას უდგია ცივი წყალი, როცა ორთქლი ტრუბაში გაცივდება წყლის წვეთებათ იქცევა, და ეს წვეთები იკრიბება იქვე მომზადებულ ჭურჭელში. ამ ნაირათ გასუფთავებულ ზღვის წყალს მარილის გემო ეკარგება და გამოდგება სასმელათ და საჭმელის მოსახარშათ. ასეთი მომზადებული წყალი უგემურია და ნაკლებადაც აგრილებს კაცს. წყლის გემო მდგომარეობს იმაში, რომ მას ჰქონდეს მარილი, მხოლოდ იმდენი რაც საჭიროა, სიგრილე კი ჰაერისაგან, რომელიც მასში არის. ეს ნაწილები ზღვის წყალს, რომელსაც ასუფთავებენ, სრულიად ეკარგება.

**III მარილი.** რადგანაც ჩვენ ხშირად მოგვიხდება ვიხმაროთ სიტყვა „მარილი“, ამისათვის ავხსნით რა მნიშვნელობაში უნდა ვიგულისხმოთ იგი. ჩვენში მარილს ეძახიან ჩვეულებრივ, რომელსაც ვხმარობთ საჭმლის შესაკმაზათ, მაგრამ გარდა ამისა არიან სხვა მარილებიც სხვა გემოსი და თვისებისა, მაგალითად: კირი, სოდა, ბურა, მაგნეზია. რადგანაც ჩვენ ეხლა ვილაპარაკებთ წყლის შესახებ, მარილი დავარქვათ იმას, რომელიც დარჩება ხოლმე ქვაბის ძირში წყლის დუღილის შემდეგ.

**IV მაგარი და რბილი წყალი.** მაგარი წყალი ჰქვიან იმას, რომელშიაც იმყოფება ბევრი ნაწილი კირისა, გემოთი ეს წყალი წააგავს ზღვის წყალს. თუ დაიბანეთ მაგარი წყლით ხელები, როცა წყალი შეგაშრებათ, ისე გაგიხმებათ ხელის კანი, თითქო ხის ქერქიაო. მაგარი წყალი არ ვარგა არც სასმელათ და არც შინაური საქმიანობისთვის. ჩვენ ვლაპარაკობთ ამ წყალზე იმიტომ, რომ არის იმისთანა ადგილები, სადაც ნიადაგი კირიანია, აქ სხვა წყლის შოვნა უჭირთ. არის საშუალება მაგარი წყლის გადაკეთებისა ე. ი. გამოვაცალოთ მას კირი და გავხადოთ უვნებლათ. საშუალება ესეთია: მაგარ წყალში ჩაჰყრიან სოდას და მთელი დღე ისე დგას ბოჩკაში, შემდეგ როცა დაიწმინდება ფრთხილად გადაასხავენ მეორე ჭურჭელში და რაც ბოჭკის ძირში დარჩება ის თითქმის სულ კირია.

შ. კ—ძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურ.» № 816.

## სასამართლოს მატიანე

აზნ. დავით კეზელის საქმე

10 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე აზნ. დავ. კეზელისა და გლეხის ალექ. მახარაშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ აზნ. ბარამ შაბურიშვილის მოკვლა.

1896 წ. 1 ნოემბერს, დუშეთის მაზრის სოფ. სამაბუროში, ღამე, ბრალდებულნი კეზელი და მახარაშვილი ჩაუსაფრდნენ ბ. კეზელის სახლის მახლობლად და ესროლეს თოფი მათკენ მომავალ მემამულეთ თ. ფავლენიშვილსა და შაბურიშვილს, რომელთაც ამ ამბის რამდენიმე ხნის წინად გარეკეს კეზელის ჯოგიდგან ღორები და განაწილეს „საბალახოს“ მონაწილეთა შორის, რადგან კეზელი მათ ხარჯს არ აძლევდა საბალახოში. თუმცა თოფი არავის მოხვედრია, მაგრამ შეშინებული მემამულენი მაშინვე გაიფანტნენ. ბრალდებულთ ისარგებლეს ამ გარემოებით, უკან დაედევნენ სხვებისაგან განცალკევებულ ბარამ და კონსტანტინე შაბურიშვილებს, ესროლეს მათ თოფი რამდენჯერმე და მოჰკლეს ბარამ შაბურიშვილი.

ზოგიერთ მოწმეთა ჩვენებით, დავით კეზელი თავის მუშებს, როდესაც ისინი მემამულეთა მუშებსა სცემდნენ, ეუბნებოდა: „სცემეთ, მე ვაგებ ყველასთვის პასუხსაო“.

იმ მოწმეებმა, რომელნიც ბრალდებულთა სურვილით იქმნენ დაბარებულ-
ნი განაცხადეს, რომ თოფის სრ
და შაბურიშვილებმა დაიწყეს, რო
ლებიც "საბალახოს" გაყოფის შ
მდეგ შინ მთვრალები მიდიოდნენ
ამ მოწმეთა ჩვენებით, დ. კეზელ
რომელიც ამ დროს აივანზედ იდ
სთხოვდა შაბურიშვილების ერთ ამ
ნაგს,—დ. ფავლენიშვილს, აყალ-მ
ყალს ნუ ასტეხავთო.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ
ტფილისის ოლქის სასამართლომ დ
ნაშავედ სცნო დ. კეზელი შაბურიშ
ლის მოკვლის განზრახვაში და მი
ჯა ყოვლდგვარ წოდებრივ უფლებ
ჩამორთმევა და გადასახლება ტობოლ
გუბერნიაში, ხოლო ალ. მახარაშვილ
ტუსაღთა რაზმში ცხოვრება 1 წლი

გუშინ-წინ, 10 მაისს, ამ საქმ
განხილვის დროს სამოსამართლო
ლატაში თავმჯდომარეობდა ბ-ნი ვრა
კი. წევრებად იყვნენ ბ-ნნი კარნოვ
და ფრანცევი, ხოლო ბრალსა სდებ
ბრალმდებელის ამხანაგი ბ-ნი ივანოვ
დ. კეზელს იცავდნენ ნაფიცი ვექილე
გ. ს. ტერ-სტეფანოვი და ნაფ. ვე
ჩემესოვი, ხოლო მახარაშვილს—ნა
ვექ. ტურკევიჩი.

საქმის მოხსენების შემდეგ კეზელ
დამცველმა ნაფ. ვექ. გ. ს. ტერ სტ
ფანოვმა წარუდგინა პალატას რამდენ
მე საბუთი, რომლითაც მტკიცდებ
რომ მკვლელობამდე კეზელსა და შ
ბურიშვილთა შორის არსებობდა მტრ
ბა. ამასთან შაბურიშვილები იმასაც
სცდილობდნენ, რომ განაჩენი დაედგ
ნათ კეზელის გადასახლების შესახებ
სამაბუროდგან.

ბრალმდებლის ამხანაგმა ბ. ივანოვ
აღნიშნა ის ლოღიკური შეუსაბამო
რომელიც გამოიჩინა სასამართლო
როცა ბრალდებულნი ბ. შაბურიშვილ
მკვლელში გაამართლა, ხოლო კ. შაბ
რიშვილის მოკვლის განზრახვაში დ
ნაშავედ სცნო.

ბრალმდებელმა განაცხადა, შაბურ
ვილებს მიზეზი არა ჰქონდათ თ
დასხმოდნენ დავ. კეზელის კარ-მიდ
მოს, რადგან მათ თავისი ყველა მიიღ
სო, ხოლო დავ. კეზელს-კი, რომ
ლიც გაჯავრებული იყო შაბურიშვილ
ზედ ღორების წასხმის გამო, სურ
სამაგიერო გადაეხადა. თოფის სრ
ლით კეზელს უნდოდა მხოლოდ მ
შეშინება, გაფანტვა აქეთ-იქით, 
შემდეგ ეცემა მათთვის.

დასასრულ ბრალმდებელმა სთხ
პალატას დამნაშავედ ცნობილ იქ
ბრალდებულნი ორსავე დანაშაულში

ნაფ. ვექილი გ. ს. ტერ-სტეფან
და ჩემესოვი ამტკიცებდნენ, რომ კე
ლი დამნაშავე არ არის, ის ტყვ
რომელიც შაბურიშვილს მოხვდა, 
რთლიდი იყო არა კეზელის. არ
სხვის მიერაო. ვექილებმა სთხოვ
სამართლოს, დავით კეზელი უდა
ნაშაულოდ იქმნას ცნობილიო.

სასამართლო პალატამ დამნაშ
სცნო ორივე ბრალდებული და მიუს
აზნ. დავით კეზელს—განსაკუთრებ
უფლებათა და უპირატესობათა ჩამო

...და საცხოვრებლად ირკუტსკის გუ-
...ასში გაგზავნა, ხოლო ადექს. მა-
...მკიდს — სამის წლით არესტანტ-
...ოტაში გაგზავნა.

## ...სამეურნეო ცნობა

...რეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

...ნდარა. (ქართული, იმერული,
...ული, მეგრული) სოს (სომხუ-
... ჩინარ (თათრული) აშვ (აფხა-
...ი) მცენარე გვარობს ზოგი ერთ
...ლას, მინდვრად, მაგრამ ტალი-
... მთებში დიდრონი ტყეებია ამ
...არეთი შემდგარი, იზრდება
...ა ხეებზედ მაღლა და მსხვი-
..., მაგალითად ს. ვართაშანში
...ის მაზრაში, მე თითონ მინა-
... იმისთანა უზარმაზარი ჭანდა-
... რომელსაც ექმნებოდა 40 სა-
... სიმაღლე და ორ საჟენამდი-
... სიმსხო, გარდა იმისა იმავე
... ჰქონდა რამდენიმე დიდრონი
...ი, რომლებსაც ეჭირათ თი-
... ორ კალოს ოდენა ადგილი.
...ორც ღერო, ტოტები, ყლორ-
..., ისე მისი ფოთლები მოთე-
... ფერისანი არიან, თავისი
...ნიერი აგებულებით და შეხე-
...ობით ამშვენებენ ბაღებს,
...ებს, ამისათვის მას რგავენ მარ-
... შნოს, ლაზათის და ჩრდილის
...ისათვის. მას უყვარს ნოტიო
...ლი, ამისათვის ვისაც სურს
... მშვენიერ ხის მოშენება, იმან
...ეს არ უნდა მოაკლოს წყალი.
...დგანაც ჩემ წერილში ხშირად
...ენიებდი ცოცხალ ღობეებისა-
... გამოსადეგ მცენარეებს, ამი-
... აქ საჭიროდ მიმაჩნია ვსთქვა
...ოდე სიტყვა ცოცხალი ღო-
...ის მოშენებაზედ. ყველა ჩვენ
...რთველოს მემამულენი დამე-
...მებიან იმაში, რომ ჩვენ საქ-
...ოვის თავა ვერ დაგვიდვია, ვერ
...რხებთ საქმის გაუმჯობესობას;
... მამა-პაპიდგან დაწყებული
...ვანდლამდისინ, ყოველ წელი-
... მოვსდევთ ღობეების შეკე-
...ს გაახლებას, ერთი ორი თვის-
... ე. ი. შემოდგომამდისინ, რო-
...ც ჰირნახულს მოაგროვებენ
...ნლის სინაბარას, რომელიც
...რის განმავლობაში კაცისაგან
...თებულ ღობეებს ფეხით ასწო-
...ნ დედამიწასთან, გაზაფხულო-
...ისევ სულ ახლად აახლებენ,
...არად ყოველ წელიწადს იმეო-
...ნ იგივე ერთ საქმეს. აქედამ
...ათა სჩანს, რომ ჩვენში დი-
...რო გავა, მინამ ხალხში ჩაი-
...ება იმისთანა მამულის სიყვა-
...ი, როგორც ჩანერგილია სამ-
...რ გარეთ ქვეყნებში. გასაკვი-
...ს არის, რომ ჩვენში არ იციან
არ გავრცელებულა კაცის მიბა-
ძვა, თუ მდაბიო ხალხს არ შეუძ-
ლიან თავიანთ ხელ მოკლეობის
გამო ეგ სხვა საქმეა, რომ შეძლე-
ბულებსაც არა აქვთ ჩვეულება
საქმის განხორციელება. ჩვენში
ორი მემამულე არ მოიპოვება, რომ
მას წესიერად ჰქონდეს დაყენებუ-
ლი მეურნეობა, ეს იმიტომ რომ
მათ არა სწამთ მცოდნე კაცების
დარიგება, მსწავლულმა რომ უქა
დაგოთ, აი ესეა საქმე ესე უნდა
გაკეთდესო, იმათ სიცილით არ ჰყოფ-
ნით ხოლმე, ხოლმე, მაშინვე იმას
იტყვიან, თუ პაპა ჩვენი და მამა ჩვე-
ნი ასე არ აკეთებდაო, იმიტომ კარ-
გი მოსავალი არ მოსდიოდაო ისე-
ნი იმას კი არა ფიქრობენ რომ
რამდენიც დრო მიდის, იმდენი,
მიწას ელევა ეკარგება ძალა, სი-
ნოყიერე, რამდენიც მიწა მოკლე-
ბული იქნება ძალას, იმდენად მას
უჩნდება აუარებელი მწერი, ესე-
ნი, რა თქმა უნდა ამისთანა აუა-
რებელ სენს უნდა შველა, მაგრამ
ვინ უნდა უშველოს, როდესაც
შვილები მისდევენ მამა-პაპის გზას
ვეულებას. რომ ჩვენ უსწავლე-
ლობით არ მოგვივიდეს მეტი ხარ-
ჯი, ამისათვის მე ვეცდები აუხს-
ნა გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მკი-
თხველებს, თუ როგორ უნდა მო-
შენდეს ცოცხალი ღობე, რომ
შვილის შვილებამდისინ არ მოუნ-
დეს შეკეთება. ყოველ წელიწადს
უბრალო ღობესავით ცოცხალ
ღობეების მოსაშენებლად ყოველ-
თვის ხმარობენ ეკლებიან მცენა-
რეს, რომ კაცს ან საქონელს არ
შეეძლოს მისი გადალახვა, ამის-
თანა მცენარეებს ეკუთვნიან: ქრის-
ტეს გვირგვინა, კუნელი, ფშატი,
ზღარტლი, კოწახური, ღობიოს
ხე, ქაცვი, ძეძვი, კვრინჩხი, მაყვა-
ლი, ამ ზემოთ ჩამოთვლილ მცე-
ნარეებში უპირატესობა უნდა მივ-
ცეთ პირველ ხუთ ჯურა მცენა-
რეს, მართალია ეს მცენარეები
თუმცა ნელა იზრდებიან მერე ხუთ
ჯურა მცენარეებზედ, მაგრამ ამათ
არ იციან ბლარტობა და მამულის
დაჩაგვრა. მეორე ჯურა მცენარეები
თუმცა სამი წლის განმავლობაში
ისე თამამდებიან, რომ ადამიანს
და საქონელს მაზედ გადასვლა არ
შეუძლიანთ, მაგრამ ბლარტობა
ძალიან იციან, ასე რომ თუ კაც-
მა დრო გამოშვებით არ უგდო
ყური, იცოდეთ, რომ მოკლე ხან-
ში მთლად მოედება მამულს.

ცოცხალი ღობე შენდება ამ
გვარად: ჯერ პირველად იმ ადგი-
ლას, სადაც აპირებთ ღობიოს გავ-
ლებას, იქ უნდა მოსთხაროთ არ-
ხები ერთი არშინი სიგანით და
ნახევარი არშინი სიღრმით, მაგრამ
სიგანე და სიღრმე არხების-, და-
მოკიდებულია ნიადაგზედ, ნოყიერ
და ფხვიერ მიწაში არხები უნდა
მოითხაროს ნახევარი არშინის სი-
ღრმეზედ, და ერთი არშინის სიგა-
ნეზედ, ხოლო ქვიან დამდგარ მი-
წაზედ კი თორმეტ ვერშოკ სიღრ-
მეზედ და ხუთი ჩარექი სიგანით,
დარგვით კი შეიძლება დაირგას
სამ ჩარექიდგან დაწყებული ერთ
არშინის სიგანეზედ, ე. ი. თითო
არხში ორ პირად, ორ რიგად,
თითო რიგში ერთი მცენარე მეო-
რეს უნდა შორავდეს ნახევარ არ-
შინითა და ჭანდრაკის წესზედ, შახ-
მატის წესზედ. ჯადასარგავი მცენა-
რეები უნდა ამოიღოთ სიფრთხი-
ლით, რომ ნორჩ მცენარეებს ჩინჩ-
ლა (მწოვარა) ფესვები არ დააწყ-
დეს. რამდენიც მცენარეს ექმნე-
ბა მომატებული მწოვარა ფესვები,
იმდენად მალე გვარობს და ღო-
ნივრად იზრდება, და რამდენიც
ნაკლებათ ექმნება ჩინჩლა ფესვე-
ბი, იმდენად სუსტად და უღო-
ნოდ იზრდება, მიწიდგან ამოღე-
ბულ მცენარეებს კენწერი უნდა
მოეჭრას ასე, რომ დარგულ
მცენარეს მიწას ზევით ორ-მტკა
ველზედ მეტი არა ჰქონდეს
ამოშვერილი ღერო. ცოცხალ
ღობის მოშენება შეიძლება შე-
მოდგომით და გაზაფხულობით,
ხოლო სადაც დიდი სიცივეები
იცის, იქ უნდა დაირგას გაზაფხუ-
ლობით და სადაც კი სიცივისა-
გან შიში არ არის, იმ ადგილებ-
ში კი შემოდგომაზე უნდა დაირ-
გას. როდესაც არხები მზათ გვექ-
ნებათ, მაშინ აიღეთ მცენარე ჩააწ-
ყეთ არხებში ორ პირად ჭანდრა-
კის წესზე, ასე რომ როგორც ზე-
მოთა ვსთქვი ერთი რიგის მცენა-
რეები მეორე რიგის შუა მოდიო-
დეს, და ნახევარი არშინის სიშო-
რეზე ერთი მცენარე მეორეზე.
შემდეგ არხები მიწით უნდა აივ-
სოს და ფეხით დაილახოს. მთელ
ზაფხულის განმავლობაში არხები
ორჯელ ან სამჯერ უნდა გაითოხ-
ნოს, და როცა წყალი დასჭირდე-
ბა უნდა მოირწყოს 2—3. შემო-
დგომაზე მცენარეებს ფრთხილად
უნდა აეჩვილოს მიწა (შემოება-
როს) და გიორგობის თვეში ან
ადრე გაზაფხულზე უნდა გაიკრი-
ჭოს, მიწიდან ნახევარ არშინის სი-
მაღლეზე მაკრატლით.

ამისთანა გაკრეჭით მცენარეებს
ემატებათ მრავალი ახალი ნორჩი
ყლორტები, რომლითაც მცენარეს
ემატება ფოთლები, რა თქმა უნდა
მოემატება საზრდოც, ცოცხალ
ღობეების გაკრეჭისათვის საუკე-
თესო დრო თიბათვე და მკათათ-
ვეა, იმიტომ, რომ თიბათვეში
ყლორტები ისევ ნორჩია, რა თქმა
უნდა ადვილად გაიკრიჭება ორხე-
ლა მაკრატლით, მაგრამ თუ ღვი-
ნობის თვემდის ან გიორგობისთვემ-
დის გაუკრეჭავი დარჩა, მაშინ ორ-
ხელა მაკრატლით შეუძლებელია
მისი გაკრეჭა, ამ შემთხვევაში უნ-
და გაიკრიჭოს ბაღის ერთხელა
მაკრატლით. ამასაც ვიტყვი, რომ
ღვინობის და გიორგობის თვეში
გაკრეჭილი მცენარეები ზამთრამ-
დისინ აღარ ამოიხეთქვენ ხოლმე
ნორჩ ყლორტებს, რის გამოც მცე-
ნარეები უვნებლად რჩებიან, მაგრამ
მარიამობის და ენკენისთვეებში გაკ-
რეჭილი მცენარეები ზამთრამდისინ
ამოაქვთ ახალი ნორჩი ყლორტე-
ბი, რომლებიც რჩებიან შემოუსვ-
ლელნი (недозрѣвшіе) ამისთა-
ნა ყლორტები ზამთრის სიცივი-
საგან ძალიან ზარალდებიან, ამი-
სათვის სჯობია მცენარეები გაიკ-
რიჭოს გაზაფხულზედ და შემოდ-
გომაზედ.

ცოცხალ ღობეებს ჰკრეჭავენ
ექვს წლამდის, ვიდრე ბუჩქები არ
გათამამდებიან და არ გაერთდებიან
არ (გადეებმებიან) ერთმანეთში,
ზომიერ ცოცხალ ღობეს სიმაღლე
და სიგანე უნდა ჰქონდეს ორი
არშინი.

როცა ღობე ამ ზომაზედ და-
დგება, მაშინ ტოტებს თავის
ანაბრად უშვებენ, რა არის იმის
ტოტები მემამულეს ჭიგოთ გამოა-
დგეს. აქედამა სჩანს, რომ მემამუ-
ლეს ორ-ნაირი სარგებლობა ექმ-
ნება ამისთანა ღობისაგან: ერთი
რომ მამულს გარეშემო მკვიდრი
და უკვდავი ღობე ექმნება, მეო-
რეც დრო გამოშვებით სამ წელი-
წადში ერთხელ ისარგებლებს ჭი-
გოთი, თუ ღობე კოწახურისაა,
მაყვლისა ან კვრინჩხისა, მაშინ
ხილის (ნაყოფის) გამოყენებაც
შეიძლება, მაგრამ ეს კი უნდა იცო-
დეთ ამისთანა ღობეს წესიერი ყუ-
რის გდება უნდა, მინამ თავის ღო-
ნეზედ დადგებოდეს, შემდეგში-კი
მორწყვის მეტი და გარეშემო
ბალახის გამოთიბვის მეტი აღარ
მოუნდება-რა.

აქედამ ცხადათა ჩანს, რომ ცო-
ცხალი ღობე სიიაფით, გამძლეობ-
ით, სიმაგრით და სხვაფრივ გამოი-
ყენებით (ხილით, ჭიგოთი და სხვა)
ისე სასარგებლონი არიან მამუ-
ლის პატრონებისათვის, რომ არ
შეიძლება ჩვენ მემამულეთ არ ვუ-
რჩიოთ ამ ღობეების შემოღება. და
იმედიც გვექმნება, რომ ამ წერი-
ლის წაკითხვის შემდეგ ბევრნი
მიჰყვებიან ამ სასარგებლო ღობე-
ების მოშენებას.

აქვე საჭიროდ ვხედავ ჩამოვთვ-
ალო, თუ რომელი ჯურის თესლი
რამდენ ხანს ინახება მოკრეფის
შემდეგ.

ბუჩქების და ხეების თესლები
ათ დღეს ინახება, ტირიფის (წნო-
რის) თესლი ერთ თვეს ინახება.
კინკრიკოს, მოცხარის, ჟოლოს
გარგარის, ქლიავის, შვინდის, ხუ-
რმის, ზეთის ხილის, ალუბლის,
ცაცხვის, დაფნის, ფიჭვის, თელის,

---

*) ...ბ. «ცნობ. ფურც.» № 816.

ჩინარის, არყის და ღვიის თესლი სამ თვეს ინახება. წაბლის, კოწახურის, აკაკის თესლები ექვს თვეს ინახება. ვირის-კუდასი, ბალამწარის, ბზის, თუთის, ნაკერჩხლის, ძეძვის, უთხოვარის, იასამნის, (უასიმნის) ცხენის წაბლის, კაკლის, ნუშის, მუხის, თხილის, რცხილის, ვაშლის, მსხლის, ახკილის, კომშის, წიფლის, იფნის, და ფათალოსი. ერთ წელიწადს ინახება, კიპაროზის, კრაზანასი, ცირცელის, და კუნელის. ორ წელიწადს ინახება, ქრისტეს ვვირგვინის, ლობიოს ხის იუდის ხის. ბოსტნეულობის თესლები. სამ წელიწიდს ინახება კამის, რუსულ და ქართულ ბადრიჯნის, ნიახურის, პრასის და კართოფილის თესლი. ოთხ წელიწაჯს ინახება: სხვა და სხვა ჯურის კომბოსტოს თესლი. ხუთ წელიწადს ინახება: თვის ბოლოკი სხვა და სხვა ჯურისა, ექვს წელიწადს ინახება: ნესვის, მუხუდოს, ლობიოს, სალათის, და ზამთრის ბოლოკის თესლი. რვა წელიწადს ინახება გოგრის თესლი სხვა და სხვა ჯურის. ათ წელიწადს ინახება: კიტრის, და საზამთროს თესლი, გარდა ამისა განირჩევა კიდევ თესლეულობის ამოსვლის დრო. ზოგიერთი თესლი დათესვის შემდეგ ამოდის რამდენიმე დღისუკან, ზოგი რამდენიმე კვირის შემდეგ, ზოგი რამდენიმე თვის შემდეგ. ამისათვის უპირატესობა ჩვენ უნდა მოვცეთ იმისთანა ჯურა თესლეულობას, რომლებიც ამოდიან ყველაზედ ადრე.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## შენიშვნები, ცრუ-მორწმუნოებანი და სოფლური წამლობანი *)

ძირო სირაჯის წამალი, ნიორი, ჩალამ-კალამის ძირი ძურმეხას ძირი, ძირკავუტას ორი მშალის ძირი, ბიას ძირი, კვარაკვენჩხას ძირი, გარემანი სულის ძირი და ქურჩუმელას ძირი. ესენი გარეცხე, დაალბე, გოგირდი გაურიე და ეგდა წყალში დანაყე, აჭამე და უშველის.

* *

ჯილდოს წამალი. გაუშვერი გვერდზედ, რომ ქეჩოს არ მოეწიოს და ამოწმინდე, ისე რომ ეალბი არ დარჩეს. მერმეთ უცეცხლო თაფლი და წვრილი ჭადი ჯერ დაადეღდვინე და მერმე წმინდათ დაფქვი, მერდინში გასცერი, შაქარი და ნიორი კარგათ დანაყე ესენი და ფქვილი უცეცხლო თაფლში მოზილე და კარგათ გაუტენე ტკვიანი. მესამე დღემდი ჰქონდეს, ხოლო მესამე დღეს ამოიღე და მორჩება.

*) იხ. «ცნობ. ფურც.» №. 870

* *

სირაჯის წამალი. კალმის ძირი ჭინჭრის ძირი, ფშალის ძირი, ტატკვაცას ძირი და ნიორი, ესენი როდინში დანაყე და მარილი მიურთე. შაბათს, სამშაბათს და ხუთშაბათს წირვის დროზედ აჭამე და მორჩება.

## ყურმოკრული საუბარი

— რა გატირებს დედი, ეკითხებიან ერთს მტირალ დედაკაცს.

— როგორ თუ რა მატირებს, შვილო! ამ დღეებში ყარსის რკინის გზაზე, მატარებელი გადმოსულა ლიანდაგიდან და ხუთი კაცი გაუჭყლეტია, იქნება ჩემი გოგოც ქვეშ მოყვა?

— მე დალოცვილო მატარებელს კაცი გაუჭყლეტია და არა დედაკაცი

— იჰ, ბევრს დაგიდევს რკინის გზა კაცს თუ დედაკაცს?

* *

— მე მზად ვარ გავყვე ქმარს, მხოლოდ ერთის პირობით, რომ ჩემი საქმრო ლამაზი იყოს, ახალგაზდა, შეძლებული და სულელიც.

— სულელი რათაო?

— იმათ ჩემო კარგო, რომ ჭკვიანი შენ არ შეგირთავს.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათან სააგენტოსაგან»).

11 მაისი.

**ვარშავა.** გუშინ ვარშავის ეპარხიის კათოლიკეთა ეკკლესიებში წინამძღვრებმა წაუკითხეს მრევლს ვარშავის კათოლიკეთა მთავარეპისკოპოზის პოპელის ეპისტოლე, რომლითაც გრძნობით აღსავსე სიტყვებით იწვევს თავისს სამწყსოს, შემწეობა აღმოუჩინოს მოუსავლობისაგან დაზარალებულ აღმოსავლეთ გუბერნიების მცხოვრებთ. წაიკითხეს რა ეს ეპისტოლე კათოლიკეთა დღესასწაულ დღეს წმ. სამებობას, წინამძღვრები იქვე შეუდგნენ შეწირულებათა მიღებას.

**პარიზი.** ლუბე დაბრუნდა, აქ აუარებელი ხალხი მიესალმა მას.

**გააგა.** კონფერენციის პირველი კომისია შეიკრიბება ხვალ, დილის 10 საათზე; მეორე კომისია —ორი დღის შემდეგ; მესამე—მხოლოდ ოთხშაბათს. სამივე კომისია პირველს კრებას მოანდომებს უმეტეს ნაწილად, თავმჯდომარეების, მათის თანაშემწების, საქმის მომხსენებლების და საქმის ჩამწერთა ამორჩევას.

**დიუჟონი.** გუშინ ლუბე უკანვე პარიზში დაბრუნდა; ხალხი აღტაცებულის ხმაურობით მიაცილებდა.


# განცხადებანი

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской** по разнымъ отраслямъ торговой п[ро]мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебн[ыхъ] заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-[хъ] часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣся[ца]

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст[ва]**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳ[ме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счет[ахъ], 2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [тор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 [за]дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ [и у] автора: Михайловская ул., № 71.** (100—19)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**

**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**

для самообразованія

# МІРЪ БОЖІЙ

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и п[ри] томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія пр[ед]толагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. [В]ицкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артур[а]» (путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), ра[зск.] Ю. Безродной; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горь[ка]го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разск[азы] г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія**. «Антропологические очерки» про[ф.] Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Ч[ар]льзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», ча[сть] Ш. П. Милюкова. «Александръ 1 и его время»,А. Прѣсякова: «А. С. Пу[ш]кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Ивано[ва] «Ада Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив -доц. Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживиц[ка]го; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріус[ъ и] эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, настоящее и будущее, д-ра философіи В Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фило[со]фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Р[ес]кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, [тех]ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайн[ыхъ] обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западн[ой] литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Те[ку]щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной л[и]тературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

| | |
|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ | 8 руб |
| Безъ доставки на годъ | 7 » |
| За границу на годъ | 10 » |

Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| **По полугодіямъ;** | **по третямъ года:** |
|---|---|
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р | Съ доставкой и пересылкой во города Россіи; |
| За границу . . . 5 р. | въ январѣ . , . |
| Безъ доставки по соглашенію конторой | » маѣ . . . |
| | » сентябрѣ . . . |
| | За границу: въ январѣ . |
| | » » » маѣ . . |
| | » » » сентябрѣ . |

Адресъ: С -Петербургъ, Лиговка, 26.

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку [безъ] повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова.* Редакторъ *В. П. Острогорск[ій]*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Мая 1899 г. სტ. «ცნ. ფურც.») გ. ბეჟისა), რედაქტორ-გამომცემელი გ. შ[...]